ცნობის ფურცელი

№ 2615 | კვირა, 19 სექტემბერი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2615

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით 5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში გოლოვინის დიდ ქუჩაზე, № 27.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ვარშაველი ვაჭარი **გაბრიელ სიმონის ძე ალიბეგოვი**, რომელმაც ორი კვირის წინად დაასაფლავა თავისი ძვირფასი მეუღლე

ელისაბედ ივანეს ასული ალიბეგოვისა,

ჩამოვიდა ვარშავიდან და სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ პანაშვიდზე სამშაბათს, **21** სექტემბერს, ქუთაისში, ადგილობრივ სომეხთა ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის **10** საათზე. (2—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

კვირას, 19 სექტემბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება **„ა ი დ ა"** ოპერა 4 მოქ., მუს. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტულლერი, შიხუცკოი-მიჩენკო; ბ-ნნი რიბაკოვი, კომაროვი, გალეცკი, დემიანენკო და ზელინსკი.

კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

20 სექტ.—„გუგენოტები", 21 სექ[illegible]ინი"; მზადდება პირველად „ნერონი", რუბინშტეინისა.

გამგე ი. ა. კელლერი.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ე ქ ი მ ე ბ ი:

ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

გ. ი. **მუღინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 9—11 საათ.

მ. ი. **კამოევი.**—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ი. ი. **კიმონტი.**—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. **დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. **გიდიმანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. ქ. იოხელიანი.**—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გ. ა. **ბიიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 ს.

ე. მ. **მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

გ. ს. **მუსხელიშვილი.**—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მს. მ. **ხოზოლევსკი.**—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. მ. **ხოზოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. **დავიდოვი.**—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში [illegible]. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (მო.)

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ელ. რომანიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—3)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქ., № 38).

[illegible]ღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჟისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდ[illegible]

[illegible]ბრუნდა და განაახ[illegible] ავათმყოფთა მიღება მიხაილოვის პროსპ[illegible], მ[illegible]ელოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—14)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დია[illegible]იძე

გადავიდა ბარი[illegible]ის ქუჩაზე № [illegible], მესხიშვილის ფოტოგრაფიის ზემოდ. იღებს [illegible]ლითით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილ[illegible] 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (30—27)

კბილ[illegible] ექიმ[illegible]

ალ. ხოლოდა[illegible]

გადავიდა გოლოვინის პრ[illegible]ზე, [illegible] სახლში № 12, „კრუჟოკის" გვერდ[illegible] მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოს 5—7 კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—17

ე ქ ი მ ი

მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელ

მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, თფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—ñ—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.
4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.
5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ დაბეჭდილი ანგარიშები ქ. დ. საზ. კანტორაში.

პ ა ნ ს ი ო ნ ი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—50)

ს ა ჭ ი რ ო ა

მასწავლებელი ქალი

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" **კავკავის სკოლისათვის.** მასწავლებელს ექნება ჯამაგირი 360 მან. მსურველთ მიმართონ ტფილისში წ. კ. საზოგადოებას. Тифлисъ. Общество грамотност[illegible] (2—უ—2)

უცხო სიტყ[illegible]

ლექსი[illegible]

შედგენილი იოსებ იმ[illegible] ფასი ერთი მანეთი, გაგზავნით ექ[illegible]ა გამომცემელთან, ალექსანდრეს ბაღი[illegible]ო. მისამართი: Тифлисъ, книж. торг. [illegible]ах. Имедашвили. (5—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი

შანჰაი, 16 სექტემბერი („რეიტ. საag."). იაპონელმა აფიცერმა სთქვა, პორტ-არტურთან მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ბევრად აღემატება 30 ათას კაცსაო. როგორც ნამდვილად შეკრებილ ცნობებიდანა ასჩანს, იაპონიაში გაწვრთნილ ჯარისა დარჩა დაახლოვებით 40 ათასი კაცი. როგორც ისმის, იაპონელები ემზადებიან ამ შემოდგომაზე სახალინისა და იმის ქვა-ნახშირის მლვიმემაღაროების დასაჭერად.

სეული, 15 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). როგორც გენზანიდან იუწყებიან, იაპონელებმა აქტიურ მოქმედებას მიჰყვეს ხელი: ისინი ემზადებიან რუსების წინააღმდეგ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში. ვლადივოსტოკიდან წასული რაზმი გადავიდა ნაპირზე სიოტის მახლობლად, ხამხინის სამხრეთ-დასავლეთით ორ მილის მანძილზედ. უნახავთ 40 ცხენოსანი, რომელნიც ზვერავდნენ ადგილებს ხამგუანლინის უღელტეხილის დასა[illegible]ით. ეს უღელტეხილი ხამხინის ჩრდილოეთით მდებარეობს. რუსის რაზმი 24 საათის შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

ჩიფუ, 16 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). აქ მცხოვრებ რუსს ამბავი მოუვიდა, რომ თუმცა პორტ-არტურის დასავლეთ ნაწილში მიმავალი გზა თავისუფალია, მაგრამ იაპონელები წინ მაინც ნელა და ფრთხილად მიდიან, რადგან ამ ადგილებში ბევრი ნაღმია ჩაწყობილიო. იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს გუანშიშანს იმ ზარბაზნებიდან, რომელიც კუსაშაის ველში დადგეს. იაპონიის ჯარი ძალიან არის მოქანცული.

ხარბინი, 17 სექტემბერი. ამ ბოლო დროს ჯარში განსაკუთრებული ცვლილება არა მომხდარა რა. ყოველ დღე სროლაა ჩვენსა და იაპონელთა მოწინავე რაზმებ შორის. ამას წინად ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა მტრის 2 მზვერავი რაზმი და წაართვა საქონელი.

ადესსა, 17 სექტემბერი. სავარჯიშო მოედანზე დამწკრივდა შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალ ჯარის ერთი ნაწილი; მეორე ნაწილი ტირასპოლთანაა. ქალაქი ბაირაღებითა და ყვავილებითაა მორთული. ქარხნები, საკაჟრო დაწესებულებები და მაღაზიები დაკეტილია. მოქალაქენი და აურაცხელი მოსული ხალხი რკინის გზისაკენ მიეშურება.

ადესა, 17 სექტემბერი. ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე 2 საათზე მობრძანდნენ ადესა-ზასტავას სადგურზე ჯარის დასათვალიერებლად. დათვალიერება გათავდა 4 საათსა და 10 წუთზე, ხელმწიფე ადესა-ზასტავას სადგურზე წაბრძანდა და 4 საათსა და 22 წუთზე ადესა-გლავნაიას სადგუზე მობრძანდა, ხოლო იქიდან საკათედრო ტაძარში. ადესა-გლავნაიას სადგურიდან ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა 6 საათსა და 2 წუთზე.

რეველი. დილის 8 საათზე მობრძანდნენ დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის დედოფალი, დიდი მთავრის მეუღლე ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. სადგურზე დახვდნენ: გუბერნატორი მეუღლითურთ, ქალაქის დეპუტაცია და სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. სადგურიდან მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი წაბრძანდნენ მატარებლით ნავთ-სადგურში, სადაც სტუმრებს მიეგებნენ დიდ ოკეანეს მეორე ესკადრის ადმირალები როჟდესტვენსკის მეთაურობით. შემდეგ დაათვალიერეს ესკადრის ყველა გემი და ტაძარში დაბრუნდნენ, ხოლო იქიდან სადგურზე. გზაზე ყველგან გაწკრივებული იყო ცეცხლის მქრობელთა დრუჟინა. სადგურზე მისს უდიდებულესობას მიეგებნენ ჰიმნით, რომელიც შეასრულეს აქაურმა მომღერალთა საზოგადოებებმა. 4½ საათზე მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი წაბრძანდნენ. ხალხმა „ურა"-ს ძახილით გააცილა.

მუკდენი, 15 სექტემბერი. მართლდება ის ცნობა, რომ იაპონელებს სამხრეთის მხარეს პატარა ჯარი ჰყავთ. მოწინავე რაზმი იანტაის მლვიმე-მაღაროების აღმოსავლეთით დგას. იაპონელებს უჭირავთ ადგილები დაშიჩაოდან მდინარე ტაიძიხემდის. კუროკი განაგრძობს წინსვლას აღმოსავლეთისკენ.

პარიზი, 17 სექტემბერი. იუწყებიან, ვლადივასტოკის არმია, გენერალ ლინევიჩის უფროსობით, კორეისკენ გალაშქრებას აპირებს, რათა იქიდან იაპონელებს დაემუქროს. იაპონელებმა გადასწყვიტეს, 2,000 კაცი გაჰგზავნონ ლინევიჩის წინააღმდეგ.

ჩიფუ, („რეიტ. სააგ."). იაპონელთა კონტრ-ნაღმიანმა გემმა გადმოსხა ჩიფუს ახლოს 18 ჩინელი მუშა. ეს მუშები იაპონელებმა დაიჭირეს, როცა იმათ პორტ-არტურიდან ნავით მიჰქონდათ ფოსტა და წერილი და სცდილობდნენ გემების ალყა გაერღვიათ. 14 სექტემბერს პორტ-არტურიდან გამოსული ჩინელები ამბობენ, ციხის უკანასკნელი იერიში წინანდელ იერიშის განმეორება იყოო. იაპონელები ერთობ მამაცად ავიდნენ რუსების პოზიციებზე, მაგრამ ვერ გასძლეს იქ, რადგან რუსები დიდ სიმაგრეებიდან საშინლად უშენდნენ ყუმბარებსაო.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 17 სექტემბერს: „16 სექტემბერს ქვეითა ჯარის ერთი ბატალიონიდან შემდგარი იაპონელთა რაზმი წინ წამოვიდა მანდარინის გზით, დაიჭირა სიმაღლეები სოფელ ულიციძისთან (მუკდენის სამხრეთით, 32 ვერსის მანძილზე). ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა უკუაქცია იაპონელთა რაზმი. ამას შემდეგ ჩვენმა სოტნებმა ყუმბარები დაუშინეს და უკუაქციეს იაპონელები ტამინძისა და ხუანდის ახლოს (ულიტაიძიდან 3 ვერსის მანძილზე) სიმაღლეებზე გამაგრებულ პოზიციების სანგრებიდან; ამ დროს კი სხვა და სხვა სოტნებმა უკან დაახევინეს იაპონელებს სადგურ იანტაისკენ. ყაზახებმა დაიჭირეს სანგრები და იპოვეს იქ სურსათი, სამხედრო მასალა და პატრონები. ჩვენ დავიჭირეს 4 სალდათი, 1 უკვალოდ დაიკარგა; იაპონელებს დაუჭრეს და მოუკლეს ოცამდე სალდათი. 15 და 16 სექტემბერს შევიტყეთ, რომ მტერმა გააძლიერა თავისი მოწინავე რაზმები ფრონტზე სადგურ იანტაისა და იანტაის მლვიმე-მაღაროების შუა. 15 სექტემბერს ჩვენ მარჯვენა ფრთეზე პორუჩიკი შელეხოვი ყაზახებითა და საზღვრის დარაჯებით შეხვდა იაპონელთა ორ ესკადრონს და ერთ როტას, რომელთაც 4 ზარბაზანი ჰქონდათ, და ხუნხუზთა დიდ ბრბოს. ჩვენ ამოვსწყვიტეთ იაპონელთა ყველა ზარბაზნის მსროლელი; იაპონელებმა მხოლოდ რამდენჯერმე გაისროლეს და შემდეგ შესწყვიტეს სროლა. ჩვენ დავიჭირეს საზღვრის დარაჯთა პორუჩიკი კლიარცევი და 6 სალდათი, და მოგვიკლეს 1 სალდათი. ჩანხიზაის ახლო-მახლო ადგილებში (ვიანიუპუზადან 5 ვერსის მანძილზე) 15 სექტემბერს ჩვენმა ყაზახებმა წაართვეს იაპონელ კავალერისტებს საქონლის ჯოგი.

(ამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „მატენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინმა პეტერბურგში კერძო დეპეშა გამოგზავნა. ამ დეპეშაში მანჯურიის ჯარის სარდალი იმედს აცხადებს, მუკდენთან ბრძოლა რუსის ჯარის გამარჯვებით გათავდებაო. („ნ. დ.").

„ეკო დე პარი"-ს პეტერბურგელ კორესპონდენტისათვის რუსეთის მთავარ-შტაბში უთქვამთ: ჩვენ ცნობა მოგვივიდა, რომ იაპონიის ჯარი—8 თუ 9 დივიზია, რიცხვით 220 ათას კაცამდე—მუკდენისაკენ მოდისო. გენ. კუროპატკინი უმთავრეს ყურადღებას გენ. კუროკის არმიას აქცევს, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ გენ. ოკუს არმიასაც არ დაივიწყებს. გენ. ოკუს არმია რკინის გზის დასავლეთით მოდის, გენ. ნოძუს არმია წინანდებურად შუაზე დგასო. კორესპონდენტის აზრით, მუკდენთან უსათუოდ ბრძოლა მოხდება. („ნ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: მარშალმა ოიამამ ყველა მხრიდან მუკდენისაკენ გაილაშქრა და გენ. რენენკამფისა, სამსონოვისა და მიშჩენკოს რაზმებს უკან დაახევინა. მდინარე ხუნხეს სამხრეთით რუსებს მხოლოდ პატარა-პატარა რაზმები-ღა უდგათო. იაპონიის კავალერიამ რუსის ჯარის ფრთას გვერდიდან მოუარა; მოწინავე რაზმები თითონ ტელინს მიუახლოვდნენ.

ამავე გაზეთის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში ცნობა მიიღეს, გენ. კუროკიმ რუსის მარცხენა ფრთას გვერდიდან მოუარა. ამიტომ გენ. კუროპა-

ტკინი მუკდენთან აღარ შეებრძოლება იაპონელებს; მცირე ბრძოლის შემდეგ კუროპატკინი ტელინისაკენ დაიხევს და იქ უფრო მარჯვე პოზიციებზე გამაგრდებაო. („ნ. დ.“).

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან: ხმა დადის, რუსები მუკდენსა სცლიანო. მუკდენის სამხრეთით მხოლოდ 20 ათასი კაცი-ღა უდგათო. („ნ.“).

ზოგიერთი სამხედრო მიმომხილველი ამბობს, სჯობია, გენ. კუროპატკინმა მუკდენი უბრძოლველად მიატოვოს, ერთის სიტყვით ისე მოიქცეს, როგორც გენ. კუტუზოვი 1812 წელს იქცეოდაო. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის სამხედრო მიმომხილველი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ 1812 წლის ომის ვითარება მხოლოდ გარეგნობით ჰგავს ეხლანდელ ომის ვითარებას, იაპონელების ყოფა არაფრით არა ჰგავს ნაპოლეონის სამწუხარო ყოფას და გენ. კუროპატკინი როდი უნდა მიენდოს ეგრედ წოდებულ „სკითურ ტაქტიკასაო“ (უკან დახევის ტაქტიკას). მუკდენი მანჯურიის ძველი სატახტო ქალაქია, ჩინეთის იმპერატორების გვარეულობის სამშობლო და სამარხია. რამდენისამე თვის წინად მიკადომ (იაპონიის იმპერატორმა) თავის ბრძანებაში დასწერა, იმპერატორების აკლდამებს მუკდენში მალე იაპონელი სალდათები გაუხდებიან დარაჯადაო. ეს სიტყვები ტყუილ-უბრალოდ როდი იქნება ნათქვამი. ვინ იცის, იქნება იაპონიას საიდუმლო პირობაც ჰქონდეს დადებული ჩინეთთან და ეს პირობა ძალაში მხოლოდ მაშინ შევიდეს, როცა იაპონელები მუკდენს დაიჭერენ. მუკდენის გუბერნატორი როგორღაც ორპირად იქცევა; ჩინელი მოხელეები დიდის ხალისით ასრულებენ იაპონელების სურვილს; იქნება ყველა ეს ჩინეთ-იაპონიის საიდუმლო პირობის მომასწავებელი იყოს. თუ ეს მოსაზრება გამართლდა, მაშინ რუსები მოულოდნელად მტრის ქვეყანაში მოექცევიან. („რ. ს.“).

დიდი ხანია ლაპარაკობენ, ჩინეთი საქმეში გაერევა და აშკარად იაპონიის მხარეს დაიჭერსო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს შიში არ გამართლდა. ჩინეთი გარედან მოწმესავით უყურებს საქმეს და არაფერში არ ერევა. მარტო იმპერატორების საფლავებზე ამოიღო ხმა: მუკდენში ბრძოლას ნუ მოახდენთ, რომ იმპერატორების წმინდა საფლავები არ დაინგრესო. „ნოვოე ვრემია“-სი არ იყოს, ჩინეთს ამ საფლავების ხელ-უხლებლობა უფრო აწუხებს, ვიდრე იმპერიის საქმეებიო.

გაზ. „პტი პარიზიენ“-ი იუწყება: ლიაოიანთან ბრძოლის შემდეგ, იაპონიის არმიას კიდევ 8 დივიზია, ანუ 100 ათასი ჯარისკაცი გაუგზავნესო. ეს ჯარი მომეტებულ ნაწილად დალნიში იმყოფება ამ ჟამადაო. („რ.“).

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: იაპონიის ელჩმა მოულოდნელად გაანება თავი წამლობას კურორტში, პარიზში დაბრუნდა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე ნახაო.

პორტ-არტური. ფრანგულ გაზ. „ლიბერტე“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: 12 სექტემბერს იაპონური გაზეთები ირწმუნებოდნენ, ვითომ გენ. ნოგიმ პორტ-არტურის სიმაგრეების მეორე რიგი აიღოო; რუსებმა უკან დაიხიესო. („ბ. ვ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი ჟან როდსი იუწყება ჩიფუდან: რუსის აფიცრებმა თავადმა რაძივილმა და ხრისტოფოროვმა პორტ-არტურიდან ბევრი ფოსტის მტრედი მოიყვანესო. ამ მტრედების შემწეობით გენ. კუროპატკინის ბრძანებასა და სხვა მნიშვნელოვან ცნობებს გაჰგზავნიან პორტ-არტურშიო. („ნ. დ.“).

მანჯურიის მეორე არმიის უფროსი გენ.-ად. ო. კ. გრიპენბერგი. მანჯურიის მეორე არმიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი ოსკარ კაზიმირის ძე გრიპენბერგი 1838 წ. დაიბადა, შინაური სწავლა მიიღო და 1854 წელს სამხედრო სამსახურში შევიდა. 1855 წელს პრაპორშჩიკობა მიიღო, 1854—1855 წ. ომში იღებდა მონაწილეობას, მერე პოლონეთის აჯანყების ჩაქრობასა, თურქესტნისა და რუსეთ-ოსმალეთის ომშიაც მიიღო მონაწილეობა. 1868 წ. დაიჭრა, წმ. გიორგის ჯვარი მეოთხე ხარისხისა მიიღო ჯილდოდ და პოლკოვნიკობა ებოძა. ამის შემდეგ რიგ-რიგად მე-17 მსროლელთა ბატალიონისა, ლეიბ-გვარდიის მე-2 მსროლელთა ბატალიონისა და ლეიბ-გვარდიის მოსკოვის პოლკის უფროსობა მიიღო. 1877 წელს გრიპენბერგი ფლიგელ-ადიუტანტად დაინიშნა და 1877 წ. წმ. გიორგის ორდენი მე 3 ხარისხისა, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხისა და წმ. სტანისლავის ორდენი პირველ ხარისხისა მიიღო, გენერალ მაიორობა ებოძა და მის უდიდებულესობის ამალაში ჩაირიცხა. მე-80 წლებში ჯერ გვარდიის პირველ ქვეითა დივიზიის პირველ ბრიგადას უფროსობდა, მერე გვარდიის მსროლელთა ბრიგადის უფროსად დაინიშნა. 1890 წელს გენერალ-ლეიტენანტობა მიიღო, 1897 წ. გვარდიის პირველ ქვეითა დივიზიის უფროსად დაინიშნა. 1898 წ. ალექსანდრეს კომიტეტის წევრად დაინიშნა 1900 წ.—არმიას მეექვსე კორპუსის უფროსად, 1901 წ.—ვილნოს სამხედრო ოლქის მხედრობის უფროსის თანაშემწედ და 1903 წელს ამავე ოლქის მხედრობის უფროსად. მიმდინარე წლის აგვისტოში გენერალ-ადიუტანტობა ებოძა. მანჯურიის მეორე არმიის უფროსს ყველა ორდენი აქვს მიღებული თეთრის არწივის ორდენამდე. („რ. ვ.“).

ახალი ამბავი.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, 15 სექტემბერს **ბაქოში ხოლერით** ავად გამხდარა 14, გარდაცვლილა 11 კაცი.

◆ დღეს, 19 სექტემბრისთვის, დანიშნულია **„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ წლიური კრება.** კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს წლიური ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. ამას გარდა უნდა მოხდეს არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და ახალ წევრებისა. კრება მოხდება ქართულ თეატრის ფოიეში და დაიწყება დილის 11 საათზე.

◆ როგორც „რუს. ვედ.“ გადმოგვცემს, 14 ოქტომბერს უმართებულესი სენატი განიხილავს საქმეს **სომეხთა უწესოების** შესახებ. ეს საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის პროტესტით სენატში გადავიდა.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით, თერგის ოლქის ქალაქ ყიზლიარში დაწესდება **მეღვინე-მევენახეობის კომიტეტი.** კომიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ მცხოვრებთ მევენახეობისა და მეღვინეობის საქმეში.

◆ **ბათუმში მეარტელეზე თავდასხმის** დროს, ყაჩაღებს ორ მოკლულ კაცის გარდა რამდენიმე კაციც დაუჭრიათ, რომელთაც ამ დროს შემთხვევით გაუვლიათ იქ.

◆ **განჯის ვიცე-გუბერნატორად დანიშნული** ბარანოვსკი დღემდე ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრ-საქმის მწარმოებლად იყო.

◆ როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, იმათი საქმე, ვისაც **ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოში სიყალბის** ჩადენა ჰბრალდებათ, გაირჩევა 28 სექტემბერს და 7 დეკემბერს.

◆ დღეს, 19 სექტემბერს, ვეტცელის თეატრში დანიშნულია რუსულ-ქართული წარმოდგენა, რომელსაც ჰმართავენ სტამბებში მოსამსახურე სცენის მოყვარენი. რუსულად წარმოადგენენ „ალიაქოთს კეთილშობილ ოჯახში“, ქართულად „თავგის ბრალია“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაწვრილებით გვქონდა აღნიშნული შინაარსი განცხადებისა ქალაქის სამკურნალოს ავლაბრის განყოფილების ბებია ქალის მგელაძისა, რომელიც სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტს ბ-ნ გულისაშვილს უჩიოდა, პოლიციის მოხელეები მოიყვანა ჩემს ბინაზე და სრულიად უმიზეზოდ შემაწუხაო. ქალაქის გამგეობამ პასუხის მოუთხოვნელად დროებით გადააყენა სამსახურიდან გულისაშვილი და საქმე გამოსაძიებლად გადასცა გამგეობის ერთს მოხელეს. ამ საქმის შესახებ გამოძიება ქალაქის გამგეობამ განიხილა 17 სექტემბერს. გამოირკვეულა, რომ გულისაშვილის შესახებ საჩივარი ქ-ნ მგელაძისა უსაფუძვლო [illegible]ყოფილა. [illegible] გამგეობამ დაადგინა, [illegible] საჩივარი, როგორც უსა[illegible] გულისაშვილი მიღებულ იქნას [illegible]ლისაშვილს თავის ჯამაგირი სრუ[illegible]ემა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ სახალხო სკოლების დირექტორმა არ დაამტკიცა ტფ. ქალაქის გამგეობის დადგენილება ქალაქის სკოლის მასწავლებლის ქ-ნ ჩიქოვანის დათხოვნის შესახებ. 17 სექტემბერს გამგეობამ დაადგინა, მიიღოს მხედველობაში დირექტორის მოწერილობა ამ საქმის შესახებ, ჩიქოვანი ქალაქის სამსახურში დარჩეს, მაგრამ მოუსპოს ბინისათვის ჯამაგირი და სკოლის გამგეს თანამდებობიდან დათხოვნილ იქმნას. ამასთან გამგეობამ დაადგინა, დაავალოს სასწავლებელთა კომისიას ჩიქოვანის ნაცვლად სკოლის გამგის თანამდებობაზე ახალ კანდიდატების წარდგენა.

◆ „ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის სკოლაში თავისუფალია ამჟამად მასწავლებელ ქალის ადგილი. მასწავლებელს ჯამაგირად ექნება წელიწადში 360 მან.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება**

ფელეტონი

ქართული თეატრის კრიზისი

(დრამ. საზ. ახალი გამგეობის არჩევის გამო)

დღეს დანიშნულია კრება „დრამატიულ საზოგადოების“ წევრთა, რომელთაც, სხვათა შორის, უნდა აირჩიონ ახალი გამგეობა. წლის ქართული წარმოდგენების მართვა იკისრა ახალმა ამხანაგობამ. მოკლე დროში დაიწყება ჩვენი თეატრის სეზონი...

ყველგან ქართულ თეატრზეა ლაპარაკი. საზოგადოებაში კაი ხანია, დიდი უკმაყოფილება ისმის ქართული თეატრის წინააღმდეგ. ემდურიან აქტიორებს, ემდურიან რეპერტუარს, რეჟისორს, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას. იშვიათად შეხვდებით საზოგადოებაში, რომ ვინმე ლაპარაკობდეს ჩვენი თეატრის მეთაურთა სასარგებლოდ. პირ-იქით, დიდსა და პატარას ყველას ის აკერია ენაზე, რომ თეატრის თავში ჩამდგარან ადამიანები, რომელთაც არ შეუგნიათ თავისი მოვალეობა და არც ძალ-ღონე შესწევთ, პირნათლად ემსახურონ თავის დანიშნულებას. მრავალნი ამასაც არ სჯერდებიან და იმედ დაკარგულნი გაიძახიან, რომ ქართული თეატრის საქმე სამუდამოდ გათავებულია, მას წარსული ჰქონდა და მომავალი აღარა აქვს, იგი უნდა გადაგვარდეს, არ შეუძლიან აღორძინდეს, წელში გამართოს, დააკმაყოფილოს საზოგადოება ისე, როგორც აკმაყოფილებს მას, მაგალითად, რუსული დრამაო. არიან ისეთებიც, რომლებისთვის ჩვენი თეატრის დღევანდელი უვარგისობა არის სურათი ჩვენი საზოგადო ვითომდა უნიჭობისა, უვარგისობისა, დაცემისა და გადაგვარებისა. „რაღა ბევრი ვილაპარაკოთო, არ ვარგივართ და არაო!“—ხშირად იმეორებენ ეს ვაჟბატონები.

ჩვენ პირადად არა ერთხელ გამოგვითქვამს წინად ჩვენი აზრი ქართული თეატრის ბედის შესახებ. ჩვენ სრულებით არ წარგვიკვეთავს სასოება, პირიქით, დრმად დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა ქართულის სცენისა არის წინამორბედი მისის განახლებულის, უკეთესის მომავლისა. აქ განვიმეორებთ იმას, რასაც ვწერდით შარშან ამავე დროს: „ქართულს თეატრს კრიზისი დაუდგა, მაგრამ ეს არ არის კრიზისი სიკვდილისა, არამედ მოასწავებს უკეთეს მერმისს და განახლებულს ცხოვრებას. ქართული თეატრის დღევანდელი „კრიტიკული“ მდგომარეობა სრულებით არ არის საშიში და სასოწარმკვეთელი. წინააღმდეგ, ვინც სერიოზულად და კარგად ჩაუკვირდება მას, ბევრს სანუგეშოს და სასიამოვნო მოვლენას დაინახავს შიგ. ჩვენი თეატრი ვეღარ ეტევა წინანდელ ფარგალში; იგი ვრცლად უყურებს თავის დანიშნულებას. საზოგადოება გაცილებით მეტს თხოულობს მისგან, ვიდრე თხოულობდა დღევანდლამდის, ჰრესა გაუთავებელს საყვედურს უცხადებს ქართული სცენის მოღვაწეებს,—ყველას უნდა უკეთესი ქართული თეატრი, ამან გამოიწვია საყოველთაო უკმაყოფილება, ამან დაბადა დღევანდელი კრიზისი“.

ქართულ თეატრის კრიზისი უმთავრესად ტრიალებს ქართულ რეპერტუარის გარშემო. ბევრი სხვა-და-სხვა ნაკლულევანება აქვს ჩვენს თეატრს: ურეჟისორობა, აქტიორების გაუწვრთნელობა და მოუმზადებლობა, უდისციპლინობა, სიზარმაცე, მათი ქონებრივი მდგომარეობა, თეატრის გამგეთა უთაურობა, ჩვენი სიღარიბე, ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, მაგრამ უპირველესი მიზეზი და დამახასიათებელი თვისება ქართულ თეატრისა არის მისი ყოვლად უვარგისი რეპერტუარი. ხეირიანი რეპერტუარის უქონლობა არ არის ისეთი უმნიშვნელო საგანი, როგორც შეიძლება ეგონოს ვისმე პირველის შეხედვით: თუ აქტიორი ვარგა, მისთვის რის მაქნისია კარგი პიესაო! ეს მეტად შემცდარი აზრია. პიესა მარტო მშრალი ფრაზები არ არის, იგი ნამდვილი სიცოცხლეა, სიცოცხლის წყარო, რომელიც ასაზრდოებს თეატრს და ყველაზე უწინარეს კი თვითონ აქტიორს. აქტიორი მარტო კი არ თამაშობს, იგი ასე თუ ისე ცხოვრობს პიესით, პიესის შინაარსი გადადის მის არსებაში და თუ ერთის მხრით აქტიორები ხორციელ ადამიანებად წარმოგვიდგენენ პიესაში აწერილ პირებს, მეორეს მხრით ისიც უეჭველია, რომ თვით ამ პიესის პირები ასულდგმულებენ აქტიორებს. აქტიორი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ „ბედს ვერ წაუხვალ“, „მზის დაბნელებას“, „სიყვარულის ჯადოს“, „მტარვალს“, „ორს დარაჯს“ და ამისთანებს თამაშობს, აუცილებლივ დაჰკარგავს იმ ნიჭსაც, რომელიც პირველად ჰქონდა. არამც თუ არ [illegible]არდება, უკან დაიხევს და ხეირიანად [illegible]ადგენს იმასაც, რასიც უნარი ჰქონდა [illegible] ადამიანის გონებამ ერთს წერტილზე გაჩ[illegible] არ იცის, ის ან წინ მიდის, ან უკან.

ჩვენს აქტიორებს ერთი ახირებული ავადმყოფობა სჭირთ: ყველას საოცრად ეშინიათ ყველაფრის ახლის. თითქოს მიჯაჭვულნი, მიჯადოვებულნი არიან ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ რეპერტუარზე. აგერ 54 წელიწადია არსებობს ქართული თეატრი და რეპერტუარს ხასიათი თითქმის არ შეცვლია. ორიგინალი პიესა უთუოდ გ. ერისთავის „გაყრის“ და „დავის“ მსგავსია, ისტორიული დრამა „სამშობლოდანაა“ გადმოღებული, გადმოთარგმნილი პიესები ან „ორი ჯიბგირია“, ან „კოვერლეის მკვლელობა“, ან „მსხვერპლი მსხვერპლისთვის“. დღეს ქართულ ენაზე 300 მდე პიესაა ნება დართული წარმოსადგენად, ყველა თითქმის ერთის თვისებისაა. თუ არის ერთი-ორი სხვანაირი პიესა, ჩვენი აქტიორები მაინც არ თამაშობენ მათ. სამწუხაროდ, ჩვენი სცენის მოღვაწეებს ავიწყდებათ გ. ერისთავის ანდერძი, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ თეატრი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან: მისი კომედიები ნამდვილი სარკე იყო ცხოვრებისა და იმიტომაც იყო ცხოველი. ჩვენი აქტიორები დღეს გარეგნულად ასრულებენ ქართული თეატრის მამამთავრის ანდერძს, გარეგნულად ჰბაძავენ მას და ავიწყდებათ, რომ ჩვენის ცხოვრების განვითარებამ შორს დასტოვა „გაყრაც“ და „დავაც“. ისე შეეჩვიენ აქტიორები ერთხელ არჩეულ პიესებს, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ სხვანაირი რეპერტუარი შესაძლებელია ქართული თეატრისათვის. არც ის სწამთ, რომ სხვა გვარი პიესების თამაში შეეძლოთ. მაგალითად, მთელი სამ წლის განმავლობაში ფიქრობდნენ იბსენის „სტოკმანის“ შესახებ და ძლივს-ძლივობით გაბედეს მისი დადგმა, დადგეს და მხოლოდ ის გვიჩვენეს, რომ პიესა ითამაშეს უკეთ, ვიდრე თამაშობენ ათასს დახავსებულს პიესას ჩვენს სცენაზე. ცუდი რეპერტუარი ჰრყვნის აქტიორის ესტეტიურს გემოვნებას, ჰბორკავს მის ნიჭს და გონებას. ჩვენს ახალგაზრდა აქტიორებს ძლიერ სუსტი წარმატება ეტყობათ, ოთხ-ხუთი წელიწადი მუშაობენ სცენაზე და მცირე ნაბიჯი თუ გადადგეს წინ, ბევრია. რატომ? ამის მიზეზი, გარდა უხელმძღვანელობისა, არის კარგის რეპერტუარის უქონლობა. ჩვენი დღევანდელი რეპერტუარი პირდაპირ დამახინჯებელია ადამიანის ნიჭისა. საბრალო ახალგაზრდა ქართველი მსახიობი მოკლებულია ხეირიანს ხელმძღვანელს, მოკლებულია ხეირიანს რეპერტუარს—საზრდოს, სავარჯიშო მასალას, ასპარეზს, და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში იგი ვერ განვითარდება.

ჩვენს აქტიორებს თავის გამართლება უყვართ იმით, რომ ხალხს მოსწონს ჩვენი რეპერტუარი. ბევრი სიყალბეა ამაში, მაგრამ მაინც ბევრჯერ მოუტყუებივართ ამით. ამ ხალხის ვითომდა თანაგრძნობას შეაფარებენ თავს ჩვენი აქტიორები ყოველთვის, როცა კი რასმე უსაყვედურებთ მათ. ხალხიც არის და ხალხიც! მოწონებაც არის და მოწონებაც! არის პიესა „ორი [illegible]ჯი“, რომელშიაც ერთი გმირთაგანი [illegible] მდინარეს გადმოსცურავს და თითქმის შიშველი შემოვარდება სცენაზე. ქანდარის ერთს ნაწილს ძლიერ მოსწონს ეს სცენა და დაუწყნარებელის ტაშით აჯილდოვებს აქტიორს, რომელმაც „დიდი მდინარე გადმოსცურა“. მაგრამ ამავე ქანდარას, ეგება [illegible] არის, [illegible] უფრო მოეწონებოდა, თუ აქტიორები სცენაზე პირდაპირ ჭიდაობას გამართავდნენ. ახლა მოვსდიოთ ასეთს მოწონებას?

№ 254. შინაარსი: „სიმღერა“, ლექსი ვაჟა-ფშაველასი, „წიგნი“, ლ. ანდრეევისა, თარგ. ველტყეველისა; სურათები: მინისტრის თავ. პ. სვიატოპოლკ-მირსკისა, ვიცე-ადმირალის როჟდესტვენსკისა, კონტრ-ადმირალის ვირენისა, გენერალის ორლოვისა, პორტ-არტურის ერთ-ერთ სიმაგრის აღება იაპონელთა მიერ, ბრძოლის შემდეგ, რუსის ახალ ჯარის ჩასვლა მუკდენში, იაპონიის საპიორების მუშაობა [illegible] ორი კარიკატურა.

თეატრი

სახაზინო თეატრი. 17 სექტემბერს დაიწყო სეზონი ოპერებისა. ანტრეპრიზა არტისტს დონსკოის აქვს აღებული. როგორც მიღებულია, სეზონის დასაწყებად დონსკოიმ დასდგა „ჟიზნ ზა ცარია“ მუსიკა გლინკასი. გლინკას სიკვდილის ასი წლის შესრულებისა გამო სცენაზე გლინკას ქანდაკება იყო დადგმული. ფარდა აიხადა, სცენაზე ყველა არტისტები და არტისტები ხოროთი მიესალმა „დიდების“ სიმღერით ორკესტრის აკომპანიმენტით. შემდეგ დაიწყო თვით ოპერა. საზოგადოთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პირველმა საღამომ. ხორო საკმაოდ მწყობრად მღეროდა, ორკესტრიც რიგიანია, მოთამაშენიც კარგად ასრულებდნენ თავ-თავიანთ პარტიებს განსაკუთრებით ქ. ანტონოვისა ანტონიდას პარტიაში, რომელსაც სუფთა, კარგი და ძლიერი ხმა აქვს, ამასთან უნარიც კარგად თამაშობისა. კარგი იყო აგრეთვე ბატონი გალეცკი სუსანინის პარტიაში, მეტადრე შუა და დაბალ რეგისტრში. თვითონ ბ. დონსკოის (საბინინი) ეტყობა ოდესმე ხმა კარგი ჰქონია, ახლა კი სჯობია ერიდოს ამისთანა პასუხსაგებ პარტიებს, თუ არ უნდა დააფრთხოს საზოგადოება, რომელიც საკმაოდ ბევრი დაესწრო ამ ოპერას.

რუსეთის ქრონიკა

◆ პოლონეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ხარბინში გარდაიცვალა ლიაოიანის ბრძოლაში დაჭრილი პოლონელი პორუჩიკი ვაცლავ ტარანოვსკი, ცნობილი ფილოლოგი და პოლონური მწერლობის მცოდნე, რომლის რედაქციით გამოდიოდა ვარშავის სამეცნიერო ჟურნალი.

◆ ლოძის საქარხნო რაიონიდან იწერებიან, რომ რუსეთ-იაპონიის ომი ძლიერ დაეტყო ქარხნების მრეწველობას: ბევრი ქარხანა დაიხურა და მრავალი მუშა დარჩა ულუკმა-პუროდ. ამ ჟამად, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ლოძში დაარსებულ იქნა მუშების დამხმარე კომიტეტი. კომიტეტმა სთხოვა მთავრობას, ნება მისცეს, გამართოს ლოტარეა, რომლის ბილეთებს მთელ პოლონეთში გაჰყიდის. ამ ლოტარეიდან უნდა შემოვიდეს ასი ათასი მანეთი. კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე შემოწირულებანი შეაგროვოს, ითხოვოს ნება, რომ ლოძიდან გაგზავნილ ყოველ ფუთ საქონელზე 1/6 კაპ. გადასახადი დაადვას მუშების სასარგებლოდ, უფასოდ ჰგზავნოს მუშები სამშობლოში და სხვა.

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასის უკანასკნელი ხვედრი არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთ-ჟურნალის გზავნა მოესპობათ 1 ოქტომბრიდან.

„ცნობის ფურცელი“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მან.

◆ ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეერთებული კომისიები ამ ჟამად ადგენენ პროექტს დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის დამოკიდებულების განწესრიგებისას. კომისიებში მონაწილეობას მიიღებენ პეტერბურგის, ოდესისა და ვარშავის საშუამავლო კანტორების წარმომადგენელნი.

◆ საერო განათლების სამინისტრომ მოსთხოვა სამასწავლებლო ოლქების მზრუნველებს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო 1870 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომთა შორის შემოღებული სწავლების სისტემა. სამინისტროს განზრახვა აქვს ამ სისტემაში სხვა-და-სხვა ცვლილება მოახდინოს.

წერილები

სოფ. ეკსა (სამეგრელო). ერთ გლეხს, პაჭკორიას, ექვსი ქცევა ყანა ჰქონდა სიმინდისა. როცა სიმინდი შემოვიდა, აგვისტოს დამლევს, აღარ მოასვენეს საცოდავი გლეხი, ყოველის მხრიდან ესეოდნენ და ჰპარავდნენ. გლეხს თავისი ვაჟი წაუყვანია და ორივე მამა-შვილი თოფით დასდარაჯებიან ქურდებს. მთელი ღამე უძილოდ გაატარეს თურმე ორივემ. ბოლოს, გათენებისას, ამდგარა მამა და მეორე მხარეს დაუპირებია წასვლა, იმ მხარეს, სადაც შვილი დარაჯობდა თურმე. ახალგაზდა კაცს გადმოუღია თოფი და უსვრია, ამასთანავე მამისთვის დაუძახნია, მოდი, მგონი, ვიღაც მოვკალიო, მაგრამ ხმა არავის გაუცია. უფიქრია, ღმერთი არ გამიწყრეს და მამა ჩემი კი არ იყოსო და წასულა სანახავად. მართლაც მამა მისი მკვდარი დახვედრია. საწყალ ბიჭს ეს რომ უნახავს, აუღია მამის თოფი, დაუცია თვითონ და იქვე წაქცეულა. ჯერ ცოცხალია, მაგრამ საეჭვოა მორჩეს.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 სექტემბერი

ხარბინი. იაპონელთა უმთავრესი ჯარი რკინის გზის შტოს სამხრეთით დგას, იანტაის მღვიმე-მაღაროებთან და ნელ-ნელა მიდის აღმოსავლეთისკენ. დასავლეთის ფრონტზე, ლაოზეს ხეობაში, იაპონელთა დიდ ჯარს უჭირავს სიაობენხე. დავონის ჩრდილოეთით იაპონელები არა სჩანან.

ვლადივოსტოკი, 17 სექტემბერი. ვლადივოსტოკში თან-და-თან მიდიან მოწაფეები, რადგან მალე დაიწყება სწავლა. ლექციები და გაკვეთილები 1-ლ ოქტომბერს დაიწყება. ქალაქში სიწყნარეა.

მუკდენი. გამოქცეული ჩინელები აქ მოდიან. სამხედრო ასპარეზზე ძარცვაა და სოფლის მცხოვრებლები უშიშრად ვერ გრძნობენ თავს. სურსათი ძალიან ნაკლებად არის.

მუკდენი. მდგომარეობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. არ იციან მოხდება თუ არა დიდი ბრძოლა მუკდენთან და რომელი მხარე დაიწყებს იერიშს. ამბობენ, პორტ-არტური წლის ბოლომდის გასძლებსო.

მუკდენი, 17 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). იაპონელთა ჯარში დიდი ცვლილება მოხდა. როგორცა სჩანს, განზრახვა აქვთ მტრის მოვერებას შეუდგნენ. იანტაის მღვიმე-მაღაროების დასავლეთით პოზიციებს ამაგრებენ. აღმოსავლეთის ჯარი ასეა დაწყობილი: ერთი დივიზია ბენიუპუზასთან დგას, ორი — იანტაის მღვიმე-მაღაროებთან, ოთხი რკინის გზის ლიანდაგთან ლიაოიანის ჩრდილოეთით, ერთი ხიამუდენზეს დასავლეთით და ერთიც სანდეპანში. კუროკის არმია შესდგება 36 ბატალიონისა, 2 ესკადრონისა და 108 ზარბაზნისაგან. ოკუს ჯარი შესდგება ქვეითა ჯარის 60 ბატალიონისა, კავალერიის 26 ესკადრონისა და 242 ზარბაზნისაგან. ნოძუს ჯარი ქვეითა ჯარის 44 ბატალიონისა, კავალერიის 6 ესკადრონისა და 139 ზარბაზნისაგან. საზოგადოდ, მთელი იაპონიის არმია, რომელმაც კუროპატკინის არმიის წინააღმდეგ გამოილაშქრა, 180 ბატალიონისაგან შესდგება. სულ არის: 6330 ხმალი და 638 ზარბაზანი. 1, მე-9 და მე-11 დივიზია პორტ-არტურთან დგას.

ლონდონი, 18 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა დაასრულეს მუშაობა რკინის გზაზე და გადააკეთეს იგი იაპონურ ლიანდაგების დაგვარად, ეს გზა ლიაოიანიდან 10 მილის მანძილზე გაიყვანეს. პირველ მატარებელს სამი-ოთხი დღის შემდეგ ელიან. არავითარი ცვლილება არ მომხდარა. იაპონელთა მოწინავე რაზმები, რომელნიც ჩრდილოეთისკენ 15 მილის მანძილზე დგანან, ახლოს არიან რუსეთის მოწინავე და სადარაჯო რაზმებთან და დიდი ზარალი არა აქვთ.

ლისსაბონი. მეფე თავის მეუღლით ნოემბრის დამდეგს ლონდონს მიდის.

ლონდონი, („რეიტ. სააგ.“). 5 ოქტომბერს ლონდონში ელიან ესპანიის მეფეს. ინგლისის საადმირალოში ბჭობენ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას შეცვლილი ახალ გემების აშენების გეგმა. ხმებია, უარყვეს წინადადება რამდენისამე ახალ გემის აშენების შესახებაო. 4 ჯავშნიან გემის მაგიერ განზრახვა აქვთ მხოლოდ 2 ააშენონ.

პეტერბურგი. საიმპერატორო კარის მინისტრის დეპეშა: „მისმა უდიდებულესობამ 16 სექტემბერს სადგურ როვნოზე პურ-მარილი მიიღო თავად-აზნაურობის წარმომადგენელთაგან, როვნოს მაზრის გლეხთაგან და ქალაქ როვნოს თვითმართველობისაგან.“

ალჟირი, 17 სექტემბერი („ჰავ. სააგ.“). მოვიდნენ კრეისერები „სმოლენსკი“ და „პეტერბურგი“ და ორი დღის შემდეგ ლიბავას გაემგზავრებიან.

პეკინი, 17 სექტემბერი. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ცნობებია მიღებული, რომ ჩაილის პროვინციის სამხრეთით, შანტუნსა და ხუნანში, სარევოლუციო მოძრაობაა სახელმწიფო დინასტიის წინააღმდეგ. უცხო სახელმწიფოთა ელჩებს აუწყეს, რომ მეფის მოადგილეს იუანშიკაის ებრძანა მოსპოს ეს მოძრაობა, რომელიც არსებითად განსხვავდება 1900 წელს მომხდარ ბოქსერთა მოძრაობისაგანაო. გარეშე საქმეთა სამინისტრო, რასაკვირველია, სცდილობს შეამციროს ამ მოძრაობის მნიშვნელობა. უცხოელები ამბობენ, რომ საქმის მდგომარეობა საშიშია.—ტანძანის ტაოტაის გაგზავნას ტიბეტში კავშირი აქვს ლხასაში დადებულ ხელშეკრულობასთან.

ხალხს მოსწონს „მტარვალი“ (პიესა ყოვლად უვარგისი), მოსწონს „ორი ობოლი“, „ორი დარაჯი“, „კოვერდვის მკვლელობა“, „და ტერეზა“, „გაძარცული ფოსტა“, „კინტო“, „პარიზელი ბიჭი“, მაგრამ ამავე ხალხს მოსწონს „ურიელ აკოსტა“, „სტოკმანი“, „ორლეანელი ქალი“, „ვილჰელმ ტელლი“. ხალხს მოსწონს ცეკვა, ჭიდაობა, ფოკუსები, ხალხს მოსწონს ძაღლების წკავილებაც, მამლების ჩხუბიც. ხალხი ერთს მთელს და წმინდა არსებას არ წარმოადგენს, მასში კარგი თვისებებიცაა და ცუდიც. შეიძლება მივეგებოთ მის ნაკლულევანებას, გავაძლიეროთ იგი და გავრყვნათ ხალხი. შეიძლება, უმთავრესი ჩვენი ყურადღება მივაქციოთ ხალხის ღირსებებს, კარგს გრძნობებს, უფრო გამოვაფხიზლოთ, გავაცხოველოთ ეს გრძნობები. შეიძლება ამ უკანასკნელ მიზნისათვის მივმართოთ ისეთს ყალბს და მავნე იარაღს, როგორიც არის „მტარვალი“, რომელიც ნაცვლად ღონიერის პატრიოტობისა აღუძრავს მაყურებელს ცრუ პატრიოტობას და მედიდურობას, ან შეიძლება ვისარგებლოთ ისეთი სუსტი საშუალებით, როგორიცაა „გაძარცული ფოსტა“. და შეიძლება მივაწოდოთ ამ ხალხს ისეთი ძვირფასი საზრდო, როგორიცაა „ორლეანელი ქალი“, რომელსაც შეუძლიან მრავალ მხრივ დააკმაყოფილოს ხალხის სულიერი მოთხოვნილება. საქმეც ეს არის: გავარჩიოთ ხალხის ცუდი და კარგი მოთხოვნილება [illegible] ვიხმაროთ საუკეთესო იარაღი. არ უნდა [illegible]ვიწყოთ, რომ ხალხი ერთი და იგივე არაა [illegible] ხალხი ჰრდება, ვითარდება და ერთი [illegible] საკვებით ვერ დააკმაყოფილებთ მას [illegible]ვისთვის.

მდაბიო ხალხის გარდა არსებობს უფრო განათლებული კლასსი. ნუ თუ ეს კლასსი არ შეიცვალა მთელი 50 წლის განმავლობაში და არ დაებადა ახალი მოთხოვნილებანი? სიამოვნებით უნდა ავღიაროთ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება საერთოდ უფრო განათლებულია და მეტი მოთხოვნილებაც აქვს. იგი წინ წავიდა და მას არ აკმაყოფილებს დღევანდელი ქართული წარმოდგენები, რომლებიც ამდენი წელიწადია ერთ წერტილს ვერ გასცდებიან. ჩვენი საზოგადოება ხედავს სხვა თეატრებს, ჰკითხულობს უცხოეთისა და რუსეთის მწერლობას, მის ცხოვრებაში დღეს მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვაა აღძრული, აზრი აზრს ებრძვის, მიმართულება მიმართულებას, თაობა—თაობას, ერი—ერს, ცხოვრება გართულდა, არავის არ აკმაყოფილებს აწმყო, ყველა უკეთესის ძიებაშია, მომავლისაგან ელის ხსნას, ცხოვრებაში გამოვიდნენ ახალი მოქმედი პირები, გაჩნდა სხვა-და-სხვა ახალი მოძრაობა. ასეთია ჩვენი საზოგადოების ცხოვრება, მასში ისეთი სულიერი ბრძოლაა, როგორიც არ ყოფილა წინად: სწყურიათ ბრძოლა ყველაზე უფრო იმათ, რომელთაც სწყურიათ ცხოვრება, ეს საზოგადოება მოდის თეატრში და უნდა ნახოს იქ სარკე დღევანდელი ვითარებისა; არა, კიდევ მეტსაც თხოულობს, თხოულობს, რომ თეატრმა წინ გადუშალოს ის იდუმალი ფიქრები და გრძნობები, რომელნიც თვით საზოგადოებას ჯერ კიდევ სავსებით დანათლად ვერ უგრძვნია და ვერ წარმოუდგენია. მოდის ჩვენი საზოგადოება ქართულ თეატრში, მაგრამ აქ არავინ აძლევს პასუხს მწვავე კითხვებზე, თითქოს ქართულ თეატრში სხვა ადამიანები არიან, სხვა განყენებულის ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დღევანდელ ნამდვილ ცხოვრებასთან.

ამ რიგად ჩვენი რეპერტუარა ვერ აკმაყოფილებს ვერც მდაბიო ხალხს, ვერც განათლებულ საზოგადოებას. მაშ რაღას ემსახურება ქართული თეატრი?

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ საყვედური ქართულ რეპერტუარის წინააღმდეგ არ ახალია, ძველია. 1875 წელს ს. მესხი სწერდა: „30 წელიწადზე მეტია, რაც პირველად ითამაშეს ტფილისში ქართული კომედია. რაც მას შემდეგ 5-6 წლის განმავლობაში ქართულს დრამატიულს ლიტერატურას შეექმნა, იმდენი დანარჩენს 25 წელს არ შეექმნა. გ. ერისთავის დროს თამაშობდნენ „გაყრა“-ს, „მზის დაბნელება“-ს, „ტყვეთ მოგზაურობა“-ს, „ძალათ ექიმს“ და იქმნება 2-3 სხვას. 30 წელიწადმა განვლო მას აქეთ, მაგრამ ახლაც მუდამ ისევ იმ „გაყრა“-ს, „მზის დაბნელება“-ს, „ძალათ ექიმს“ ვთამაშობთ! ერთს წერტილზე დადგა ქართული რეპერტუარი და ფეხს აღარ იცვლის, წინ ნაბიჯის წადგმას აღარა ჰფიქრობს. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ლიტერატურას რამდენიმე ახალი დრამატიული თხზულება შეექმნა, მაგრამ ამათ რეპერტუარში ჩარიცხვა არ ეღირსათ“ (ნაწ. ს. მეს. ტ. I. გვ. 240). სამწუხაროდ, ესევე უნდა განვიმეოროთ დღესაც, კიდევ 30 წლის შემდეგ.

დღევანდელ მდგომარეობაში დარჩენა ქართულს თეატრს არ შეუძლია: ეს სიკვდილი იქნება მისთვის აუცილებლად საჭიროა განახლება და ამ განახლებისთვის კი უპირველესად განახლებული, ახალი ცხოვრების რეპერტუარი. ბევრი სხვა რამეც საჭიროა ჩვენს თეატრს, ბევრია სამუშაო, მაგრამ ვინც ჩაუდგება თეატრს თავში და მოინდომებს მის გაძლიერებას, მან ყველაზე უწინარეს ხელში უნდა აიღოს სხვა, ახალი რეპერტუარი! უამისოდ მისი მოქმედება იქნება ფუჭი, უაზრო და უნაყოფო! დღეს ჩვენი თეატრს აწერია: ან სიკვდილი, ან განახლება, ახალი ცხოვრება! ვისაც ესმის ეს, ვისაც შესწევს ძალა მძიმე საქმისათვის, დეე მოჰკიდოს ხელი და გაუძღვეს ქართულ თეატრს ბრწყინვალე მომავლისაკენ! განახლებული ქართული თეატრი შეასრულებს თავის მაღალს დანიშნულებას და, დარწმუნებული ვართ, მაშინ გაუმჯობესდება მისი ქონებრივი მდგომარეობაც.

ამ მხრით გადავავლოთ თვალი „დრამ. საზოგადოების“ გამგეობის სამი წლის მოღვაწეობას. პირველ წელიწადს (სეზონი 1901—1902 წ.) გამგეობამ გამართა ტფილისში 53 წარმოდგენა და წარმოადგინა მხოლოდ თერთმეტი ახალი პიესა, მათ რიცხვში ასეთი პიესები: უცოდოთა კლუბი, შვილის ცოდვისათვის, მსხვერპლი მსხვერპლისათვის, საგიჟეთში. მეორე წელიწადს გამართა 37 წარმოდგენა და ათი ახალი პიესა ითამაშა (მიკუნჭული ბედნიერება, გრიგალი, ვიდაც სმირნოვისა და სხ.), მესამე წელიწადს კი 50 წარმოდგენა (არ ვანგარიშობთ ავლაბრის თეატრს) და ოთხი ახალი პიესა (ქალთა სკოლა, სტოკმანი, განთიადი და დადატი). სამი წლის განმავლობაში 140 წარმოდგენა და 25 ახალი პიესა! განმარტება მეტია... პიესების ამორჩევაში არა სჩანს არავითარი სისტემა და წინდაწინ შედგენილი გეგმა. ეტყობა, გამგეობა დგამდა ყოველს პიესას, რომელიც კი შეხვდებოდა. ეს ითქმის როგორც ძველი, ისე ახალი პიესების შესახებ. განა რაიმე სახელმძღვანელო იდეა რომ ჰქონოდა გამგეობას, დადგამდა ასეთს პიესებს, როგორიცაა „გრიგალი“ ან „მიკუნჭული ბედნიერება“? ნუ თუ ზუდერმანის პიესებში იმ უკანასკნელ კომედიაზე უკეთესი ვერა ნახეს რა? გამგეობა არავითარს ღონეს არ ღონობდა, რომ გაუმჯობესებინა რეპერტუარი, წინდაწინვე დაემზადებინა ახალი პიესები, შეედგინა გეგმა მთელის სეზონისათვის. ამიტომ ყოველი სეზონი რაღაც შემთხვევითი ხასიათისა იყო, უსიცოცხლო და მკვდარი. ურეპერტუარობას აშკარად გვიჩვენებს „დრამ. საზოგადოების“ ბიბლიოთეკის სიღარიბე. „საზოგადოება“ აგერ 25 წელია არსებობს და მის ბიბლიოთეკაში ძლივს მოიპოვება 600-ოდე წიგნი. ბიბლიოთეკაში არ არის არამც თუ არტისტებისთვის საკითხავი, სახელმძღვანელო წიგნები; ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება საუკეთესო დრამატურგების თხზულებებიც კი! განა ასე ძნელია ბიბლიოთეკის შევსება?

ჩვენ არაფერს ვიტყვით გამგეობის მოქმედების სხვა ნაკლულევანებაზე. არ შეგვიძლია მხოლოდ არ მოვიხსენიოთ ორი მეტად სასარგებლო ცვლილება, რომელიც შემოიღო გამგეობამ: ეს არის იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები და წარმოდგენების ხშირად გამართვა; წინად თუ 5—6 წარმოდგენა იმართებოდა თვეში, დღეს 8—10 იმართება. ეს დიდი წარმატებაა და ამ წარმატებისთვის, ვიმეორებთ, კიდევ და კიდევ უფრო საჭიროა ახალი რეპერტუარი!

ქალამი

პეტერბურგის ბირჟა, 17 სექტემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,85	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,50	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	91⅛	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	88⅞	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	385½	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	303½	
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	255½	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	208	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

—

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

ტ. I. 11+533+VI გვ. ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფირცხალავასი. ფასი 1 მან.

უმთავრესი საწყობი „წ. კ. გამავ. საზოგადოების“ მაღაზიაში. (3—5—3)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІАЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—93)



ევალდ იანკოვსკი

კაფელის ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ღუმელებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—24) **ტელეფონი № 281.**

მოიკითხეთ

ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების

უდიდესი ხილეულობის სანერგე.

სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ, М. Е. Придонову, Тифлисъ, Сергіевская ул., № 11 и Сельск.-Хозяйст. Т-во «Колхида»— Кутаисъ. მალე დაიბეჭდება ქართულად კატალოგები, რომელიც მსურველთ უფასოდ გაეგზავნება. (10—280—10)

ტფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება ახალი წიგნი

„НАРОДНАЯ МЕДИЦИНА“

въ Закавказскомъ краѣ

ა. იაშვილისა. ფასი 70 კაპეიკი. (5—311—2)

ვაჭროზის

სამუდამოთ მოსპობი, გამო ვყიდი მუზიკალურ იარაღებს, ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეთანხმებით. კიროჩნის ქუჩა, ადიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გვერდით, ტფილისი, ვ. პელლინი. (10—309—5)

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს.-ძე რიჟინაშვილი

პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ, საღამოს 5—7 საათ. (30—3512—20)

გამოვიდა და იყიდება ყველგან წიგნის მაღაზიებში

მ. მღვიმელი.
სამი ყვავილი
საყმაწვილო წიგნი სურათებით

15 კაპ.

მ. მღვიმელი
ქუჩიკა
და
ბუჩუკა
საყმაწვილო წიგნი სურათებით
ტფილისი
1904

10 კაპ. (6—168—6)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი ითვლება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის პროგრამმა:

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და [illegible] პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობანი; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) [illegible]: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეკდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარრიკატურები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

გამომცემელი ჟურნალისა **ქნ. ნინო ე. ქოჩულაშვილი.** რედაქტორები { **ქნ. ელ. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.**

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(ზ. 0—3) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავ ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (½ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—48)

„ც ო დ ნ ა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—36). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000); ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევს საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოჭოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—45)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა



და რეზინის სხვა ნაკეთობისათვის

უდიდესი ჯილდო

Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში [illegible] ბრიკის ნიშანი[illegible]

ნარდათ ვაჭ[illegible] აწარმოვებს [illegible] ჭრო სახლი

[illegible]ოებულის

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“[illegible], რომელმაც იდიდი[illegible] ამავე ქანდარას, პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, [illegible] ტაშკენტში და ტფილისს

(6[illegible]—37)